№ 187. 5 სეკტემბერი, პარასკევი. 1866—1880 5 სეკტემბერი, პარასკევი. № 187.

რედაქცია

რეკონსტრუქციაზე, ბულვარის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რეკონსტრუქციის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

„დროებაზე“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ, въ редакціяхъ „Дроэба“ и „Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

„დროებაზე“, „ივერიაზე“ ერთად . . 13 მან. . . 7 მან. . 4 მ.

ცალკე { „დროებაზე“ . . . . . 9 მან. . . 5 მან. . 3 მ.
{ „ივერიაზე“. . . . . 6 მან. . . 4 მან. . 2 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ხუთულებრივის ასოებით. რულით ასოზე ნახევარი კაპ. ნუთულებრივის ასოთი ასოზე შეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივი მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კერ დაუბრუნებს ყოველს.

განცხადება მიღება ქართულსა, რუსულსა და სხვა ენებზედ.

1 ენკენისთვიდამ წლის დამლევამდის

დროება

ღირს სამი მანეთი

ივერია

ოთხი მანეთი

„დროებაზ“ და „ივერიაზ“ ერთად

შვიდი მანეთი

იმერეთის სახალხო შკოლების მასწავლებელთ კრებას

ტფილისი, 4 სექტენბერსა.

ამ სექტემბერში ქუთაისში მოხდება, როგორც მოეხსენება მკითხველს, კრება მთელი გუბერნიის სახალხო შკოლების მასწავლებლებისა. კრებას საგნათა აქვს შკოლის რიგიანი სისტემის დადგენება და უფრო დაახლოებითი შესწავლა მასწავლებელთაგან სწავლების ოსტატობისა.

ამ კრების გარდაწყვეტილობათა დიდი მნიშვნელობა ექმნება მთელი დასავლეთის საქართველოსათვის და უეჭველად ზედ გავლენას იქონიებს აღმოსავლეთის ნახევარზედაც. მას შეუძლია წაღმაც დაატრიალოს ხალხის განათლების საქმე და უკუღმაც დაკაროს. ენებას ღონისძიება და უფლება აქვს შეურყეველ საფუძველზედ, მტკიცე საძირკველზედ დააყენოს ის კეთილ-ნაყოფიერნი გარდაწყვეტილებანი, რომელნიც დაადგინა მასწავლებელთ კრებამ თფილისში ორი წლის წინეთ, და ისიც შეუძლია, რომ ეს გარდაწყვეტილებანი შეარყიოს, შეასუსტოს, გააქარწყლოს, გახდეს მიზეზი მშვენიერი სისტემის დარღვევისა და წაახდინოს იმისთანა დიდ მნიშვნელობიანი საქმე, რომელზედაც ბევრით დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ბედი და უბედობა. ერთი სიტყვით ეს კრება შეიძლება გახდეს ღირსი წყევლისა და ქოლვისა და ისიც შეუძლიან, რომ დაიმსახუროს პატივი, მადლობა და ლოცვა-კურთხევა საზოგადოებისაგან.

აი რისათვის ვსთლით ჩვენ ვალათ რავდენიმე სიტყვა მოვახსენოთ ამ კრებას და თვით ქუთაისის საზოგადოებას.

მთელი დედა-მიწის ზურგზედ ვერ მოსძებნით იმისთანა კუთხეს, სადაც ხალხსა ჰქონდეს იმაზედ მომეტებული წადილი სწავლისა და ცოდნისა, როგორიც არსებობს დასავლეთს საქართველოში. რუსს ისე არ უყვარს თავისი სანატრელი ოდკა, ნემეცს პივო, ფრანცუზს—შაფანსკი, იტალიელს სპერა, ინგლისელს—ბივშტეკსი, ოსმალელს—ყავა და ჩინელს—ბანგი, როგორც იმიერთა სწყურთ სწავლა. მათ შორის სწავლის სურვილი ისეთი ძლიერია, რომ მიახწევს ენების ხარისხამდის. ამ უკანასკნელ წლებში ბრწყინვალე მაგალითი წარმოგვიდგენს იმიერთა ამ თავისი მაღალი ლტოლვილებისა. თავის დღეში არ ყოფილა დასავლეთის საქართველოს ხალხი იმაზედ გაჭივრებულ მდგომარეობაში, როგორშიაც იყო ჩავარდნილი ამ თორმეტიოდ წლის განმავლობაში. ბატონ-ყმობის მოსპობის პირველმა შედეგებმა, როგორც ყველგან ისე აქაც მეტათ შეაეიწროეს ხალხი; ის უნდა გასძღოლოდა დაუსრულებელს დავიდარაბას თავის მებატონეებთან, მოთავსებულიყო ახალ ცხოვრების კალაპოტში და ამასთან ხუთასად უნდა გაჭრილიყო, რომ ხელიდგან სამუდამოდ არ გაეშვა თავად-აზნაურთა მამულები, რომლებიც ისყიდებოდნენ ზედიზედ საკვირველის სისწრაფით.

ამისთანა მდგომარეობაში ძნელი იყო ფიქრი განათლებაზედ. მაგრამ იმიერნი მაინც სასიქადულო ერთგულობით შეუდგნენ სწავლის საქმესა, ააშენეს მშვენიერი სახლები, დაიდეს კისერზედ საჭირო ხარჯი, გახსნეს მოკლე ხანში ასზედ მეტი შკოლა და გაავსეს ისინი მოსწავლეებითა...

ყველას დიდი იმედი ჰქონდა ამ შკოლებისა, ყველა ელოდა სწავლის და ცოდნის მოფენას ხალხში მათის მეოხებით. მაგრამ ეს იმედი მოკლე ხანში განქარწყლებული იქმნა. სახალხო შკოლამ არამც თუ არ მოუტანა ხალხს ის ნაყოფი, რომელსაც იგი მოელოდა, არამედ პირდაპირ ენება შესძინა. ხალხმა აშკარად დაინახა, რომ შკოლა არაფც თუ უხსნის ყმაწვილებს გონებასა, პირიქით უხშობს მას, არამც თუ ზნეობით არ აუმჯობესებს, პირიქით აჩვევს უსაქმობასა, ცულლუტობასა და შრომის სიძულილს. შკოლამ საშინლად მოატყუა ხალხი და სრულიად აუცრუა გული მასზედ.

რა იყო ამის მიზეზი? პირდაპირი წინაალმდეგობა შკოლის სისტემის და მის დანიშნულების შუა... სისტემა შკოლისა ზედ გამოჭრილი უნდა იყოს მის დანიშნულებაზედ. რაში მდგომარეობს დანიშნულება სახალხო სასწავლებლებში? არა იმაში, რომ მოამზადოს გლეხის შვილები გიმნაზიებსა და სხვა შკოლებში შესასვლელად; ამ მიზნისათვის არსებობენ ესრეთ წოდებული მოსამზადებულნი კლასები. სახალხო შკოლაც ამზადებს, მაგრამ პირდაპირ ცხოვრებისათვის და არა ვიმნაზიისათვის. მისი ვალია—მოჰფინოს პირველ დაწყებითი სწავლა, ხალხში ელემენტარული განათლება გაავრცელოს და შეეწიოს გონების ამაღლებას, ზნეობის გაუმჯობესობას და კეთილ-დღეობის წარმატებას. ამიტომ სახალხო შკოლა უნდა სდევდეს რეალურულ მიზანსა—ცოდნის გარდაცემასა, გონების გახსნასა და არა რაიმე ფორმალურ მიზანს, შესწავლას უცხო ენისას, რაიცა, ვიმეორებთ, პირდაპირ ეწინააღმდეგება შკოლის დანიშნულებას და რომელიც შეჰფერის მხოლოდ მოსამზადებელ კლასსა.

სწორეთ ამ მარტივ აზრის დავიწყებამ და უარ-ყოფამ უკუღმართი მსვლელობა მისცა ხალხის განათლებას დასავლეთს საქართველოში, ააცდინა სახალხო შკოლა თავის მიზანს, დაჰბადა მისი უნაყოფობა, მოატყუა ხალხის იმედი და შეუცვალა მას გული ამ წმინდა საქმეზედ. იმის მაგიერად, გადაცემაზედ მოსწავლეთათვის და იმათ გონების გახსნაზედ დაემყარებინათ ყოველი თავისი მეცადინეობა, რიგიანად ესწავლებინათ ქართული წიგნის ცოდნა და დედა-ენის შუამავლობით შეეთვისებინათ მოსწავლეებისათვის ყოველი საგანი ელემენტარული კურსისა, მასწავლებელნი, თვით უმეცარნი რუსულ ენაში, მარტო იმაზედა ჰკარგავდნენ თითქმის მთელ დროსა, რომ უაზროთ, გაუგებრად გაეზეპირებინათ **სერენკა კოზლიკი** და მზგავსი ლექსები, დაესწავლებინათ მათი ბლავილი, მიეჩვიათ ისინი მტვრევას ჟარგონისას, რომლისაც რუსულ ენას ეძახდნენ და ეძახიან, და ეზეპირებინათ „როდნოე სლოვო“!

ეკალზედ ვაშლი თავის დღეში არავის არ უნახავს. ამისთანა უგვაროს და მახინჯს სისტემის შესაფერი ნაყოფიც უნდა მოეტანა და კიდევაც მოიტანა.

დროა ამ უგვარო სისტემას ბოლო მოელოს და დამკვიდრდეს დასავლეთის საქართველოშიაც გონიერული, პედაგოგიური სისტემა. ამ გვარ სისტემას ბევრი ძალა არ უნდა. იგი ორი წელიწადია მოქმედებს აღმოსავლეთის საქართველოში ყოველგან, მეტად კეთილი ნაყოფი მოაქვს*) და ყველას თანაგრძნობ დაიმსახურა. ეს სისტემა დამყარებულია სამს დედა-აზრზედ, პრინციპზედ, რომელნიც მდგომარეობენ შემდეგში:

პირველად, დედა-ენა უნდა იყოს ცენტრი სახალხო შკოლის კურსისა და მის რიგიან შესწავლაზედ უნდა იყოს მიქცეული უმთავრესი ყურადღება;

მეორედ, სწავლება ყველა საგნებისა უნდა მიდიოდეს დედა-ენაზედ მთელს კურსის განმავლობაში;

მესამედ, რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი, და მის დაწყებას უნდა ჰქონდეს ადგილი მხოლოდ მესამე წლიდგან.

ეს გადაწყვეტილებანი დაადგინა აღმოსავლეთის საქართველოს მასწავლებელთ კრებამ ორის წლის წინათა და ამითი დაიმსახურა დიდი პატივი და გულითადი მადლობა ქვეყნისა. ქუთაისის კრებაც მტკიცეთ უნდა დაადგეს ამ გაკვალულ გზასა და თავის მხრივ ბეჭედი დაჰკრას ზემოხსენებულს გადაწყვეტილებათა.

კრებამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ამ გარდაწყვეტილებათ განათლებული საზოგადოება ადვილად არ მოსწევია, მათი გულისათვის იგი იბრძოდა კაი ხნის განმავლობაში, ბევრი ჯაფა და ცდილობა მოახმარა, მანამ მათ განხორციელებას მოესწრობოდა. მათი ღალატი, მათი შერყევა, შეცვლა მამაკვდავი ცოდვა ხალხისა და საზოგადოების წინაშე. კრებამ საქმის განსჯის დროს უნდა გაიხსენოს შემდეგი მაღალ-გონიერნი და ჭეშმარიტების პატიოსნებით სავსე სიტყვები ღენერალის სტაროსელსკისა, რომლითაც მან მიმართა სახალხო მასწავლებელთა თბილისში ორის წლის წინეთ:

„შკოლამ უნდა აამაღლოს ხალხი „გონებით, ზნეობით, კეთილ-დღეობ„ით და ამითი შეეწიოს თვით სა„ხელმწიფოს დიდებას; თუ ამ მაღალ „მიზნის მიწევას დაუშლის რუსული „ენის სწავლება, მოგვახსენეთ და ჩვენ „შეგვიძლიან მომეტებულათაც შეუმ„სუბუქოთ სასოფლო შკოლას ეს „ვალდებულება“.

კრებას სრული ნება აქვს სასოფლო შკოლის პროგრამმებში*), რომელ-

---

*) წაიკითხეთ, მაგალითად კორრესპონდენტია კავთისხევიდგან.

ავტ.

*) თბილისის კრების გარდაწყვეტილებანი და პროგრამმები დაბეჭდილი არიან 1878 წლის ტირკულიარში № 10 და ცალკეც. პროგრამმების აღსრულებაში მასუკანს მოსდა მხოლოდ ერთი სასარგებლო ცვლილება: რაკი უკანასკნელი, მეექვსე გამოცემა კალენდარიშვილის სასულიერო სასულიერო გამოვიდა, უველა სასალხო შკოლებიდგან ქართლში და კახეთში გამოიძიეს როდნოე სლოვო და მის მაგიერ უველგან ეს სასულიერო სასულიერო მიიღეს რუსული ენის სასწავლებლად.

ნიც შედგენილნი იყვნენ თბილისის კრებაზედ, მოახდინოს იმდენი ცვლილება, რავდენიცა სურს; პროგრამმებს არსად არ მოუტანია არც დიდი სიკეთე და არც დიდი სიბოროტე. მაგრამ ზემოხსენებულის სამის პედაღოღიურის პრინციპის შეცვლას კი საზოგადოდ და რუსული ენის გადატანას მესამე წლიდგან მეორეში კერძოთ უნდა ერიდოს, როგორც დიდსა, მძიმეს და დამღუპავს დანაშაულობასა. კრებამ უნდა ისიც მიიღოს ყურადღებაში, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებასაც თბილისის კრებას სისტემა აქვს მიღებული, რადგანაც ეს სისტემა სრულად ეთანხმება საზოგადოების წესდებულებასა, და სადაც ეს სისტემა უარ-ყოფილი ან შეცვლილი იქნება, იქ საზოგადოება თავის შემწეობას ვერ ამოუჩენს...

ბოლოს კრებამ უნდა იცოდეს, რომ, თუ ერთი მხრით გულ-წრფელს და საქმის ერთგულს სახალხო მასწავლებელზედ უპატიოსნესი პირი არ მოიძებნება, სამაგიეროდ მეორეს მხრივ იმაზედ უსაძაგლესი აღარა იქნება-რა, როდესაც მასწავლებელი ივიწყებს თავის მოვალეობას, ღალატობს ხალხის განათლებას და უკულმართს გზაზედ აყენებს მას იმ განზრახვით, რომ ვისმეს ჩინოვნიკურად აამოს და ამითი ეგებ ცოტაოდენი კერძო ჯილდოთ დაიმსახუროს საზიზღარი მეტაბლესაეთ.

კრების საგნის დიდი მნიშვნელობა ქუთაისის ინტელლიგენციასაც წმინდა ვალად სდებს მიიღოს მხურვალე მონაწილეობა კრების სჯა-ბაასში და ყოველი ღონის-ძიება იხმაროს, რომ ხალხის განათლებას გაეკვლიოს სწორე და ნაყოფიერი გზა. თუ ორი წლის წინათ თბილისის კრებამ დადგინა ქვეყნისათვის სასარგებლო სისტემა, ეს უფრო მოხდა მეოხებით თბილისის ინტელლიგენციისა, რომელმაც კრების წინეთვე გამართა ქადაგება პირათ და ბეჭდვით, კრების სხდომებში დაესწრებოდა ხოლმე, იღებდა სჯა-ბაასში ცხარე მონაწილეობას, ამხნევებდა მასწავლებელთ სწორე ჰაზრების მტკიცე დაცვაში და ამ სახით კეთილად დააბოლოვა, დააგვირგვინა საქმე. თუ ქუთაისის კრებამ საქმე წაახდინა, ქვეყნის წინაშე პასუხის მგებელი, მასწავლებელთ გარდა, შეიქმნება ქუთაისის ინტელლიგენცია. ეს კარგად უნდა შეიგონონ განათლებულ ქუთათელთა და თავისი ვალდებულობა საზოგადოების წინაშე წმინდათ შეასრულონ.

ამიერი.

ახალი ამბები

თითქმის ყველა მეფურნეებს დღეს ძალა-უნებურად გააღებინეს ფურნეები და აყიდვინებენ პურს. რამდენიმე მეფურნე დაჭერილნი არიან და ამის გამო დღეს პურს ამათი შაგირდები აცხობენ და ჰყიდიან. მაგრამ პირველი ხარისხის პური არც დღეს არის თითქმის არც ერთ ფურნეში გასასყიდი, მხოლოდ მეორე ხარისხის (4 კაპეიკათ) პურს ჰყიდიან.

ბუშინ, ვერას გარდა, მთელს ქალაქში მთელი დღე ფურნის პური არ იშოვებოდა. ყველა ფურნები დაკეტილი იყო; მხოლოთ რამდენსამე ალაგას პოლიციამ ჩაამტვრია ფურნის კარები, გამოატანინეს პურები და გააყიდვინეს. ხალხი თორნის პურითა და ბულკით გამოდიოდა იოლად. ვერის მეფურნეებმა მხოლოდ შუა დღეზე დაკეტეს თავიანთი ფურნეები, მაგრამ დღეს იმათაც გააღებინეს.

***

თფილისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორი აცხადებს, რომ დირექციის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზე, № 14) მოგროვილია შკოლებისათვის საჭირო ყოველ გვარი ნივთები, მასალები და სახელმძღვანელოები და ვისაც ამ პატარა გამოფენის ნახვა ჰსურს, ორშაბათობით და ხუთშაბათობით შეუძლიან ნაშუადღევის 1 საათიდამ ვიდრე 3 საათამდინ.

***

დღეს, პარასკევს, 5 სეკდემბერს, ჩვენს საზაფხულო თეატრში წარმოდგენილი იქნება ჩვენის თანა-მემამულის თ. ა. სუმბათოვის ოთხ-მოქმედებიანი რუსული დრამა „მეხის-ამცდენი“ (Громоотводъ). ითამაშებენ რუსული სცენის მოყვარენი, სხვათა შორის თვითონ აეტორი, ს. პალმი და სხვანი!

***

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა, გაზეთში დასაბეჭდათ:

„დროების“ მე-179 №-ში მოხსენებული იყო ამბავი ქართულ წარმოდგენაზედ ქ. ბორში, 18 აგვისტოს, სადაც ეწერა, სხვათა შორის, რომ ეითომც ამ წარმოდგენით აეღოთ სცენის მოყვარეთა 200 მანეთი.

„ეს ნამდვილი არ გახლავთ: 200 მან. კი არა, ხსენებულთ პირთ აიღეს როგორც მე ზედ მიწვენით ვიცი მხოლოდ 77 მან. ამ ფულიდგან რომ გამოვიდეთ 30 მანეთამდის ხარჯი, ტანისამოსის დაქირავებისათვის და სხვა თეატრის საჭიროებისათვის, სცენის მოყვარეთ რჩებათ წმინდა შემოსავალი მხოლოდ 47 მან.

მეორე შეცდომა, რომელიც იპოვება ამავ შენიშვნაში და რომელზედაც მაქვს პატივი მივაქციო თქვენი ყურადღება, მდგომარეობს შემდეგში:

„ქორროღლის“ წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა ქალთაგან მხოლოთ ქერესელიძისამ, მაღალოვისამ და ივანოვისამ. ბარდა ამათი სხვა ქალი ამ წარმოდგენაში არავინ არ ყოფილა და იმ შენიშვნაში კი ნაჩვენები არიან მოთამაშე პირებათ ნატროევისა და ქართველოვისა, იქნება ბ.ბ. ნატროევი და ქართველოვი, რომლებიც ქორროღლის და დემურჩოღლის როლებსა თამაშობენ გადაქცეულნი რომლისამე მანქანების ძალით ქალებათ. ესეც არ ვიცი მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ იმათ ჯერ ისევ კაცებათა ვხედავთ და თუ ამის შემდეგ გადიქცევიან ქალებათ, ამისი კი რა მოგახსენოთ.

დ. რომანოზიშ.

„დროების“ კორრესპონდენცია

ქავთისხევი. 30 აგვისტოს. ქარგად, გვარიანად მიდის ქავთისხევის შკოლა. ახალი საქმეა, სულ ორი წელიწადი, რაც ეღირსა სოფელს, მაგრამ ახლაევ შესამჩნეველად შეუცვლია ფერი სოფლისათვის. ორის წლის წინეთ წიგნის მცოდნე აქ ძნელად მოიპოვებოდა, ახლა კი ოთხმოცამდის მოზარდი ქალ-ვაჟი გვარიანად კითხულობს და სწერს.

სხვა გვარი საუნჯეც მოუნიჭებია ამ მოზარდთათვის შკოლას. მიდიხარ ორ-ღობეში და წინ გხვდება ჯგუფი სოფლის ბიჭებისა და პატარა ქალებისა. პირისახის გამომეტყველებით, თამამი ქცევით და ცნობის მოყვარეობით მაშინვე გაარჩევ შკოლაში მოსიარულე ბავშებს სხვებისაგან, თითქმის ისევე ადვილად, როგორც ადვილად ერჩევიან ცხვრები თხებისაგან. სადაც უნდა შეხვდეთ, რომელ მუშაობაშიაც უნდა ნახო შკოლაში მოსიარულე სოფლის ბიჭი, ყველგან ატყობ სწავლის გავლენის კვალს. ეი ტრიალ მინდორზედ გაჭიმულა ქართული გუთანი და უღელზედ მჯდომი თორმეტი წლის მოწაფე შკოლისა მხიარულს სიმღერას დასძახის. უახლოვდებით გუთანს, არჩევთ ბავშვის სიტყვებს, დიდ ხანს უგდებთ ყურს და სასიამოვნო განცვიფრება იხატება თქვენს სახეზედ. ბავშვი ზედ-ზედ აწკრიალებს მშვენიერს ლექსებს, სულ საუკეთესო ნაწარმოებს ხალხის გონებისასა, იმისთანაებს, რომელიც ვონებასაც საზრდოს აძლევენ და გულსაც ავსებენ კაცურის გრძნობითა. მისგან, მაგალითად მოგესმის:

წუთი სოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ
წავალ და სხვა დარჩება,
თუ ერთმანეთს არ ვასარებთ, იმის მეტი რა შეგრჩება.

ან კიდევ.

ნეტავი ჩემი სასახლე მაღლა მთაზედ ამეგო.
გამჯელ და გამამლელისთვის ყოველ დღე კარი გამეღო,
სიტყვა არვისთვის შეწყინა, სულ ეველას გული მამეგო,
რაც მეპოვნა და მეშოვნა, სულ ღარიბებზედ გადმეგო.

მიდიხარ მეორე გუთანთან, საიდგანაც აგრეთი ოროველა მოისმის და სახტად რჩები: ოცი წლის ვაჟ-კაცი გაიძახის იმისთანა უგვარო და უაზრო ლექსებს, როგორიც არის შემდეგი: „ქალო ანაო ბანაო, შენ პირი დაგებანაო. შენი ხელ-პირის ნაბანი შუა წყალს ჩამამდგარაო, შიგ გდია აკვანი, დამხრჩვალა საბრალო დედის ერთაო“ და სხვ.

მიაბიჯებს ტყის პირად და წაადგება ამისთანა საამურ სურათსა: საქონელი საძოვრად შეშლილია ღელისაქეთ-იქით ფერდობებზედ, ბალახ-ბალახ ეძებს, ათი-ოთხმეტი წლის მოწაფე შკოლისა, წამოწოლილა მწვანეზედ, ნიდაყვზედ თავი დაუბჯენია, პარკიდგან ამოულია წიგნი და ჩაკვირვებული კითხულობს.

აი, დიდი კაკლის-ქვეშ მოგროვილა ათიოდე ქალ-ვაჟი, მგვრლად ჩამწკრივებულან და სულ განაბულნი ყურს უგდებენ პატარა ბიჭს, რომელსაც კაკლისათვის ზურგი მიუყუდნია, ყელი მოუღერებია და რაღაზედაც გაცხარებული ლაპარაკობს. ეს გახლავთ შკოლის მოწაფე, რომელიც თავის პატარა აუდიტორიას გაცხარებით უამბობს იოსების ისტორიასა.

დააცადეთ, ორი წელიწადი კიდევ ივლიან შკოლაში ეს ბავშვები და მაშინ შეიძენენ იმისთან ცოდნასაც, რომელსაც პირ-და-პირი გავლენა ექნება მათ მატერიალურ მდგომარეობაზედ და სარჩოს მოპოვებაზედ. ამისთანა კეთილ-ნაყოფიერი მსვლელობა მისცემია ქავთისხევის შკოლას ჯერ იმიტომ, რომ ის სისტემა სწავლისა, რომელიც მასწავლებელთ კრებამ დაადგინა ორი წლის წინად, არის მეტად გონიერი და პედაღოღიური, რადგანაც დადა-ენას ხდის სწავლის ცენტრად და შკოლის ბურჯად და რუსულს ენას იწყებს მხოლოდ მესამე წლიდგან. მეორეთ იმიტომ, რომ მასწავლებელი ქავთისხევის შკოლისა ი. ცხვედაძე თავის წმინდა თანამდებობას ეკიდება შესანიშნავის ერთგულებით და სვინიდისიანობით.

მთელს ცხრა თვეს თითქმის მოუწყვეტელია სწავლა შკოლა რვა საათიდგან მოკიდებული შუადღის ორ საათამდის. სწავლას ვულ-გრილი მოჯამაგირესავით არ უცქერის. ეკიდება ისე, როგორც ღვიძლ საქმეს და მოსწავლეთ წარმატება შეადგენს მისთვის პირად ბედნიერებას. ამიტომ ზაფხულობითაც სრულად არ სწყვეტს სწავლასა. ქვირა-უქმით ყოველთვის შკოლა საესეა მოწაფეებითა და სწავლა გაჩაღებულია. ბავშვებს ამიტომ, არამც თუ ავიწყდებათ, რაც წლის განმავლობაში ისწავლეს, უფრო მტკიცედ ითვისებენ და წარმატებაში შედიან.

ერთი მშვენიერი შემოღება დაუმატებია მასწავლებელს ამაზედ. ხანდახან ყველა მოწაფეები შკოლისა შეიკრებიან ერთ დილით, მთელის დღის საგძლით, დამწკრივდებიან ფერხულულად და მხიარულის სიმღერით მიდიან მინდვარ. აქ მოხერხებულს ადგილს დასცემენ ბინასა და მთელი მართულნი არიან სხვა და სხვა თამაშობაში, სიმღერაში, ლექსების ცოდნის გაჯიბრებაში და სხვა ვარჯიშობაებში. მათ შორის ყოველთვის იმყოფება მასწავლებელი და აგრეთვე ზოგიერთა დედ-მამანი და ნათესავნი ბავშვებისა. საღამო მოატანს და ეს ჯარი ბავშვებისა იმავე რიგით სიმღერით ბრუნდება სოფელში.

ამას გარდა ორი გადაწყვეტილება ქავთიხევის მასწავლებლისა არის ღირსი ყურადღებისა ჯ წაბაძვისა: პირველი გადაწყვეტილება მდგომარეობს იმაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მომავალ აკადემიურ წელში საეკლესიო ხორო გამართოს მოწაფეებისა, საყდარში აგალობოს ხოლმე და ამითი შეიტანოს ესტეტიური ელემენტი სოფლის წირვა-ლოცვაში. — მეორე გარდაწყვეტილება უფრო უკეთესია. მას სურს დააწესოს საღამოს შკოლა დედებისათვის და ყოველს ზამთარს ასწავლოს მათ წერა-კითხვა. წაქეზებულნი პატარების წარმატებით, დიდებსაც ბევრსა სურს წიგნის ცოდნა და ბევრიც ივლის საღამოს შკოლაში.

სოფელი თანაგრძნობით და პატივით უცქერის თავის მასწავლებელსა და ერთგულათა ცდილობს მოკლე ხანში აუშენოს მშვენიერი სამკოლო სახლი, რომლის პლანი თბილისში არხიტექტორისათვის შეუდგენინებია ნ. Ცხვეთაძეს და გამოუგზავნია. შენობის მასალა მომზადებულია, ფულიც საკმაოთ აქვთ და საძირკველიც სახლისა გათხრილია. სრული იმედი აქვს ამ შემოდგომაზედ მთლათ აამშენონ სახლი და გადიტანონ შკოლა ნაქირავებ სახლიდგან. ეხლა სახლი დაკმაყოფილებს ყოველ-გვარ საშკოლო მოთხოვნილებას და სწავლას კიდე უფრო უკეთესს მსვლელობას ხელს შეუწყობს.

შკოლის გაუკეთესების და გამშვენიერების გარდა, ძმანი Ცხვედაძენი აპირობენ გააფართოვონ დეპო, რომელიც შარშან დაარსეს და გახსნან ბოკლე მომავალში სასოფლო ბანკი. ქავთიხევი მაშინ შეიქნება მეორე საგარეჯო. Ყველა სოფელს, რომ აღმოუჩნდებოდეს ორიოდე გულშემატკივარი და საზოგადო სიკეთის ერთ-გული პირი ჩვენს მრავალს ტანჯულს ხალხსაც გაუთენდებოდა.

ასაფ-დაბეჯი.

რუსეთი

გოლოსს შეუტყვია, რომ სახალხო განათლების სამინისტროსთან დანიშნულია ცალკე კომისია, რომელსაც შეადგენენ: თავმჯდომარე (სამინისტროს მმართველის ამხანაგი) ტაინი სოვეტნიკი მარკოვი და ამავე სამინისტროის და უმაღლესთ სპეციალურ სასწავლებლების მთავარ სამმართველოს წევრებისაგან. ამ კომისიას უნდა **გადახედოს** წესდება და პროგრამმა **რეალურთ სასწავლებლებისა**, ზემოხსენებულთ პირთ გარდა ამ კომისიაში მოწვეული იქმნებიან ეროების და ქალაქების თვით-მმართველობათა წარმომადგენელნი, რომელთაც სახალხო განათლებისათვის განსაკუთრებითი ღვაწლი დაუდვიათ და, საზოგადოთ, იმისთანა პირნიც, რომელთ დახმარებას სასარგებლოთ ჩათვლიან.

უცხოეთი

ᲬᲐᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ. *Morning Post*-ს ბერლინიდამ აცნობებენ, ვითომც საეროელმწიფოებს მოეთხოვნოსთ სადემონსტრაციო ფლოტის ადმირალისადმი ძიცემული ინსტრუქცია შეცვლილ იქმნასო. ზანსაკუთრებით ავსტრიას და საფრანგეთს არ სურთ ამ დემონსტრაციის დროს ძალა მოიხმარონ, რომ მითი მიზეზი არ მისცენ ინგლისს და რუსეთს აღმოსავლეთში ეროად მოქმედებისათვის.

—

5 ენკენისთვეს იტალიის ქალაქში ზენუაში ძეგლის საძირკველი ჩაუდგამთ იტალიანელ გამოჩენილი რევოლუციონერის მაძინის სახსოვრად.

—

Pall Mall Gazette-ს სტამბოლიდამ აცნობებენ, რომ აბბედინ-ფაშამ იდუმლად მომერანდუმი მიართვა ხონთქარსო, რომელშიაც ევროპის სახელმწიფოებისათვის წინააღმდეგობის გაწევას ურჩევს მას.

ᲕᲚ. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲖᲔ.

მაზე უფრო ზომიერი შენიშვნა, რომელიც მე დავუწერე ბ. ვლ. მიქელაძეს, როგორც ჩვენი ქითხვა-წერის გამავრცელებელ საზოგადოების კომიტეტის წევრს, შესახებ მისი მოქმედებისა, ვგონებ არ მოხერხდებოდა: მე არ წარმომიქვამს მის შესახებ ისეთი არაფელი, რომელიც ნამდვილ სიმართლეს არ შეადგენდეს და ამაოდ სდებდეს ბრალს მასს. მაგრამ მის ნაცვლად, რომ ბატ. მიქელაძე ან სულ გაჩუმებულიყო, და ან, თუ კიდევ ხმა ამოიღო, წარმოედგინა საზოგადოებისათვის, თავის გასამართლებელი პატივსადებნი მიზეზები, ის ღობე-ყორეს ედება და, ბანზე სიტყვის აგდებით, უნდა საზოგადოებას თვალი აუხვიოს და დაანახოს, ვითომც ის არაფელში დანაშაული არა ბრძანდება. ვნახოთ *).

ᲧᲕᲔᲚᲐ დამეთანხმება, ვინც კი ჩემი წერილი წაიკითხა, რომ უმთავრესი მისი მიზანი და ჰაზრი ის იყო, რომ მასში მე ვამტკიცებდი: ბ. მიქელაძე, როგორც უწყებული საზოგადოების ქომიტების წევრი, ვერ ასრულებს სინდისიანად თავისს მოვალეობასა და ცუდი არ იქნება, რომ საზოგადოებამ მომავალში უფრო სასარგებლო წევრები ამოირჩიოს-თქო. ჩემს თავის მოყვარებასა და თხზულების ღირსებაზე ლაპარაკს ჩემ წერილში სრულებით ადგილი არა ჰქონია. თხზულების ბედი, რომელიც ბ. მიქელაძეს ჩაუარდა ხელში, მხოლოდ ის შემთხვევა იყო, რომლის გამოც მე წარმოსთქვი ჩემი ჰაზრი ბ. მიქელაძის მოქმედების შესახებ საზოგადოთ. ეხლა ბ. მიქელაძე, თავის გამართლების ნაცვლად, ამდგარა და იძახის: ფეხებზე მკიდიაო და ამის დარდსაც გადაეურჩები, თუ ღმერთმა მშვიდობა ჰქნაო. ხომ ხედამ მკითხველო, როგორ ესმის ბატ. მიქელაძეს საზოგადო მოვალეობა და რა მნიშვნელობას აძლევს ის, როცა მას ვინმე ბრალსა სდებს, როგორც საზოგადოების ამოირჩეულ პირსა და წევრს.

ჩემ წერილში ბ. მიქელაძეს პირველად ის ეუსაყვედურე, რომ მას არ წაუკითხავს მრთლათ ჩემი თხზულება და ისე წარუდგინა კომიტეტს თავისი ჰაზრი-თქო. რა პასუხს იძლევა ბ. მიქელაძე ამის შესახებ?

„ᲘᲛᲝᲛᲓᲔᲜᲘ რაინდობა ვიხმარეო“, ანბობს ის, „რომ მრთლათ (?) წავიკითხეო“ და თან კვირობს კიდეც: „როგორ დამირჩა ამოდენა მოთმინებაო.“

მიაქციე, მკითხველო, ყურადღება სიტყვას „მრთლათ.“ ბ. მიქელაძე! თქვენ ხომ კარგათ იცით, რომ არ გინახავთ თვალით ჩემი თხზულების პირველი ნაწილი, ე. ი. მოთხრობები ძველი ხალხების ცხოვრებიდამ; მაშ როგორლა ამბობთ, რომ მრთლათ წავიკითხე და დიდი რაინდობა გავსწიეო?

მაგრამ იქნება თქვენ მეხსიერებამ გიღალატათ, ისიც არ გახსოვთ, რაც წაიკითხეთ და მისთვის ატყუილებთ საზოგადოებას, რომელმაც თქვენ ამოგირჩია კომიტეტის წევრად. მაშ, თუ გნებავთ, მოწმებს დაგისახელებთ, რომ თქვენ სწორედ ნამდვილ ტყვილსა ბრძანებთ. აი ბ. ი. ჭავჭავაძე და საზოგადოების სეკრეტარი ბ. მეუნარგია. იმათ ძრიელ კარგათ იციან, რომ თქვენ თვალით არ გინახავთ პირველი ნაწილი ჩემი თხზულებისა და, თუ გნებავთ, კიდეც დაგარწმუნებენ.

მაგრამ, იქნება, თქვენა ბრძანოთ, რომ მე მარტო თხზულების იმ ნაწილზე ვლაპარაკობ, რომელიც კომიტეტმა მე გადმომცაო. მაშ რაღათ ანბობთ, რომ მრთლათ წავიკითხე ბ. ბ. იოსელიანის თხზულებაო? ესეც მართალია, რომ თქვენთვის სრულიად არ გადმოუცია ჩემი თხზულება, მაგრამ მისს იმ ორ ნაწილთან, რომლებიც თქვენ მიიღეთ, შეკინძული იყო მთელი თხზულების სათაური. მაშ, როცა თქვენ მას კითხულობდით და შინჯავდით, თუ კი მართლა წაიკითხეთ, რატომ არ იფიქრეთ: ვაჟო, ეს სათაურები რომ აქ არიან, თვითონ მოთხრობები კი სადღა არიან-თქო? არ ამტკიცებს, ბ. მიქელაძე, ეს გარემოება იმას, რომ თქვენ სინიდისიანად და ერთგულად არ მოპყრობიხართ კომიტეტისაგან მონდობილ საქმეს? რას იტყვი ეხლა? მართალი ბრძანდებით განა?

მეორე ჩემი საყვედური, როგორც ბატ. მიქელაძისადმი, ისე მთელი კომიტეტის შესახებ, ის იყო, რომ ჩემი თხზულება არ დამიბრუნეს თავის დროზე.

ᲐᲛ მუხლის შესახებ ბ. მიქელაძე კატეგორიულად ამცხადებს თავის პასუხში: „მან (კომიტეტმა) დაბეჭდვაზე უარი უყო ბ. იოსელიანს და დაუბრუნა მისი ნაშრომიო“. ესეც ხომ ტყუილია. მაშ მე რაღასა ესჩივოდი, ბ. მიქელაძე? ბანა არ იცით თქვენ, რომ პირველი ნახევარი ჩემი თხზულებისა დიდხანს დაკარგული იყო და ძლივს იპოვეს შემდეგ?

მესამეც მე ის უსაყვედურე ბ. მიქელაძეს, რომ მან ისეთი დაუდევნელობა და უყურადღებობა გამოიჩინა, რომ პატარა ნაგლეჯ ქაღალდზე წარუდგინა კომიტეტს თავის ჰაზრი იმ თხზულების შესახებ, რომელიც მას მიენდო განსახილავად. მაგრამ ამაზე ბ. მიქელაძე სრულებით არას ამბობს. არ ვიცი კი რისთვის. ალბათ ან მიტომ, რომ ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომლის უარ-ყოფა არ შეიძლება, რადგანც მოხსენებული ნაგლეჯი ქაღალდი და მიქელაძის ჰაზრი საზოგადოების კანცელარიაში არიან, და ან კიდევ მიტომ, რომ ეს საქმე მას ყურადღების ღირსად არ მიაჩნია. მაგრამ რაც უნდა იყოს მტყუანსა და დამნაშავეს გაჩუმება უფრო მიეტევება, ვიდრე ჯიუტურ უარზე დადგომა, რადგანაც სიჩუმე თანხმობის მოწამეა.

აი ჩემი წერილის უმთავრესი ჰაზრები ბ. ვლ. მიქელაძის მოქმედების შესახებ და მისი პასუხი მათზე.

ᲔᲮᲚᲐ თუ სწორეთა გსურთ, ბ. მიქელაძე, რომ საზოგადოებამ ნამდვილად დაინახოს, ვინ სტყუვის, მე თუ შენ, გვიბოძეთ პირ-და-პირ პასუხი შემდეგი კითხვების შესახებ:

1) გჭონდათ თქვენ ხელში მრთლათ, თავიდამ ბოლომდის, ჩემი თხზულება, თუ არა?

2) წაიკითხეთ თქვენ ის მართლაო როგორც ბრძანებთ თქვენ პასუხში, თუ არ წაგიკითხავთ?

3) მართალია, თუ არა, რომ პირველი ნაწილი ჩემი თხზულებისა არც შენ და არც სხვას ქომიტეტის წევრს თვალით არ გინახავსთ და კომიტეტმა ისე წარმოსთქვა თვისი განჩინება?

4) მართალია თუ არა, რომ ბევრი ვეწვალე, მინამ ჩემ თხზულებას ხელში ჩავიგდებდი?

5) მართლა წარუდგინეთ თქვენ კომიტეტს თქვენი ჰაზრი პატარა ნაგლეჯ ქაღალდზე, თუ არა?

და 6) თუ ყოველივე ესე მართლია, რა ატყვილებთ თქვენ ასე წინადაუხედავათ იმ საზოგადოებას, რომელმაც თქვენ პატივი გცა და ამოგირჩია ქომიტეტის წევრად?

ᲔᲮᲚᲐ ბ. მიქელაძის რაინდობაზე და ჩემ თავის-მოყვარეობაზე ვილაპარაკოთ, თუმცა ეს პირ-და-პირ არ შეეხება საქმეს.

ბ. მიქელაძე ბრძანებს თავის პასუხში, რომ თუმცა ჩემი თხზულება წაკითხვის ღირსი არ არის და სტოლ-ქვეშ შესაგდებია, მაგრამ მაინც „იმოდენი რაინდობა ვიხმარეო, რომ მთლათ წავიკითხეო“. **რომ მრთლათ** არ წაუკითხავს ჩემი თხზულება, ამაზე ხომ ზემოთ ვილაპარაკეთ. მაგრამ ბარაქალა მაინც მის რაინდობას! მე დიდი მადლობა მმართებს, რომ ბ. მიქელაძემ არა თუ სტოლ-ქვეშ არ შეაგდო ჩემი თხზულება, არამედ სხვა რაიმე არაფრად მოეჩვენა ის მას, როგორც მაგ. დონ-კიხოტს ქარის წისქვილები, და სრულებით არ დაგლიჯა ის. ამასთანავე დიდ ბოდიშსა ვიხდი, ბ. მიქელაძე, თქვენ წინაშე, **რომ**

*) იქედი მაქვს, რომ ვისმე კომიტეტის სხვა წევრთაგანი წარმოსთქვამს თავის ჭეშმარიტ აზრს ამ საგანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი თხზულების წარდგენით მივეცი კომიტეტს შემთხვევა შეეძრუწუნებია თქვენიბ რწყინვალება.

მხოლოდ ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ თუ თავის იმედი არა გაქვსთ და ყოველი წიგნის წაკითხვა, რომელიც თქვენ სიამოვნებას არ მოგგვრით, **რაინდობად** მიგაჩნიათ, როდი უნდა იკისროთ ხოლმე საზოგადო საქმე და გაებათ უღელში. ძალას ხომ არავინ გატანდათ?

თავის პასუხში ბ. მიქელაძე ბძანებს, რომ მე, ვითომც ჩემი თხზულება დიდის ღირსებისა მეგონოს და ამიტომ მასს (მიქელაძეს) და კომიტეტს უწყრებოდე, რომ ის ღირსეულად არ დააფასეს და არ დაბეჭდეს. —სრულებითიც არა, ბ. მიქელაძე! თუ წაიკითხეთ ჩემი თხზულების წინასიტყვაობა, იქ ცხადათ არის ნათქომი, რომ მას უეჭველია ბევრი ნაკლულევანება ექნებათქო და ყოველ საფუძვლიან შენიშვნას მადლობით მივიღებთ და ვეცდებით გავასწორო, რაც ნაკლულევანება სჭირიათქო. მაშ თუ მე თქვენ და კომიტეტის დაუდევრობაზე და უწესოდ მოქმედებაზე ვილაპარაკე, ეს არა მისთვის, რომ მე ჩემ თხზულებაზე დიდი ჰაზრისა ვარ და თავ მოყვარეობამ ამაღელვა, როგორც თქვენა მოგჩვენებიათ, არამედ მისთვის, რომ საზოგადოებისათვის დამენახვებია, ერდგულად ეკიდებიან საქმეს ის პირები, რომელთაც საზოგადოება ირჩევს და ანდობს საზოგადო საქმეს. ეს ჰაზრი ცხადათ იყო გამოხატული ჩემ წერილში.

ჩემგან შედგენილ წიგნის ღირსებაზე მე არა მითქომს რა ჩემ წერილში და არც ეხლა რასქმეს ვიტყვი, მაგრამ ამის პასუხი მაინც უნდა მიბოძოთ, ბ. მიქელაძე: თქვენა ბრძანებ, რომ ჩემი თხზულება **ბელიარმინოვისაგან** შედგენილ ისტორიის **კომპილიაციაა**. ქარგი და პატიოსანი. თქვენ ხომ ბელიარმინოვის სახელმძღვანელოს კარგა იცნობთ; ჩემი შედგენილი წიგნიც ხომ იცით? მაშ ეხლა, თუ თქვენ მართალს ბრძანებთ აიღეთ ბელიარმინოვის ისტორია, შეადარეთ ჩემ შედგენილ წიგნს, მონახეთ ერთი-ორი ადგილი მათში და დაგვანახეთ კომპილიატორობა. ჩემი მხრით მე ვამცხადებ, რომ მე, როგორც სხვა ყველა სახელმძღვანელო ისტორიის შემდგენელი სარგებლობს, ვისარგებლე წიგნებით, მაგრამ ყველაზე უფრო ნაკლებ ბელიარმინოვის თხზულებით.

ერთ ადგილის თავის პასუხში ბ. მიქელაძე ბრძანებს კიდე, რომ ვის ექნება ტყეში გადასაყარი ფულები, რომ ჩემგან შედგენილ თხზულება დაბეჭდოსო. რატომ, ბ. მიქელაძე? თუნდა რომ ჩემგან შედგენილ წიგნის შინაარსი ბელიარმინოვის თხზულებიდამ იყოს ამოღებულ, მაინც კიდევ რატომ არ იქნება ღირსი დაბეჭდვისა? რათ იქნება მისს დაბეჭდვაში დახარჯული ფულები ტყეში გადაყრილი? ბელიარმინოვის ისტორიული ფაკტები თვითონ ხომ არ შეუთხზავს და მოუკონია?

გიორგი იოსელიანი.

21 აგვისტოს.

განცხადებანი

ხმა დევნულთა უდაბნოიდგან

ძენო და ასულნო ივერისანო! შეჭველია არა-ერთ გზის გსმენიათ თქვენ ძველთაგან მოთხრობით დიდებული სახელი ივერთა მონასტრისა, აღშენებულისა კეთილ-მსახურთა თქვენთა წინაპართაგან, მთასა ზედა წმინდასა ათონისასა, ქრისტიანობის პირველათა საუკუნეთა შინა.

დაფუძნების-თანავე მიმისა სავანე ესე აღირჩია თვით კერძოთ ყოველად წმიდამან დედამან ღმრთისამან და გამოაჩინა მას შინა სასწაულ-მოქმედი ხატი თვისი, განთქმული დიდებითა ყოველსა კიდესა ქვეყნისა სახელ-წოდებით „დედა-ღმრთისა ივერიისა“.

ამა მონასტერსა-შინა მიისწრაფოდა საცხოვნებელად სულისა თვისისა ყოველ კეთილ მოწიწე შვილი საქართველოისა: თითოეული კახელი, ქართველი, იმერელი, მეგრელი და გურული დაისხამდნენ მუნ ღვაწლითა თვისითა წინაშე ღმრთისა სიწმინდესა და უხრწნელებას. ვის არ გსმენიათ თქვენ სახელნი ათონისა მთისა ნეტართა მამათა: წმინდა იოანე ალმაშენებელისა, დიდისა ექთვიკის, გიორგი მთა-წმინდელისა და სხვათა შთამომავლობითა ქართველთა. ხოლო რომელსაც არძალ-ედვა და ღირს არა ხდებოდა შესვლად ამა სანატრელსა სავანესა-შინ, ისინი შესწირვიდენ მას ოქროსა და ვერცხლსა, მიწასა და წყალსა სადიდებელად ამისა და საოხად სულისა თვისა.

ამა სახითა მონასტერი ესე იყო ფრიად მდიდარი და აღიზრდებოდნენ მუნ ძენი ქართულთა კეთილის ზნითა და მეცნიერებითა. ხოლო ოდესცა მაჰმადიანთ ძალამან და შინაურმა უთვისობამან დასცა ქართველთა ერნი და სამეფონი, მაშინ თან-დათან შემცირდა და შესწყდა დინვა ქართველთა ამა მონასტერსა შინა და დაემკვიდრენ მუნ ბერძენნი, რომელთა ჟამთა განმავლობასა შინა სრულიად მიითვისეს იგი ყოვლისა მის დიდებითა და სიმდიდრითა; განდევნილ-ჰყვეს მისგან ქართველნი, მიგვიღეს ჩვენ და უპატიოდ სტოვეს გვამნი წმინდათა მამათა ჩვენთა, მუნ განსვენებულთა,

ამის-თვის ჩვენ ობლად ქმნილთა და გალატაკებულთა მონაზონთა და მორჩილთა, კურთხევითა, შეკრებილთა ყოვლის კიდისა საქართველოისათა: ქახეთით, ქართლით, იმერეთით, სამეგრელოთი ზურიათი, კურთხევითა ყოველად სამღვდელო ეპისკოპოზთა იმერეთისა, სამეგრელოისა და ზურიისა და შემწეობითა კეთილ-მორწმუნე ქრისტიანეთა აღვაგეთ მახლობლად დიდისა ივერიის მონასტრისა მცირე სავანე წმინდისა, მოციქულისა იოანე ღვთის-მეტყველისა და ვიწყეთ მასთანავე ზრუნვა რათა დაბრუნებულ გვექმნეს ჩვენ და მომავალთა ჩვენთა წმინდა საუნჯე ჩვენი დიდებული მონასტერი ივერიისა.

ამა ჩვენსა ზრუნვასა და თხოვნასა ხელყო ჩვეულებრივის მისის სურგძელებითა და მოწყალებითა ხელმწიფემა მთავარმან ნამესტნიკმა კავკასიისამ მიხაილ ნიკოლოზის-ძემან. ბრძანებითა მისის უმაღლესობისათა უკვეაღძრულ არს წარმოება საქმისა სამეფოთა ქალაქთა შინა პეტერბურგსა და სტამბოლსა და ჩვენ იმედენეული ვიქმენით, რომელ მეცადინოება ჩვენი არ დარჩეს უნამყოფოდ. ბარნა საქმისა ამისთვის საჭირო არის დიდი ჩვენგან დევნა და ხარჯი, ხოლო ჩვენ მოკლებულ ვართ ყოველსავე საშვალებასა და წინაალმდეგნი ჩვენი კი არიან შეჭურვილნი სიმდიდრითა, ჩვენთავე მამაპაპათაგან.

ამისათვის და რადგან მცირე სავანე იოანნე ღვთის-მეტყველისა არა არს ჯერედაც შესრულებული და მისთვის საჭირო არის არა-მცირედი საფასე, ჩვენ მოვიელტვით წინაშე თქვენსა, კეთილ-მსახურნო ძენო და ასულნო საქართველოისანო, და მოვითხოვთ შემწეობასა ფულითა, ანუ ნივთითა, ვისაცა როგორ მოეხერხების, საოხად სულისა თვისისა, მოსახსენებელად მიცვალებულთა და სანუგეშოდ შვილთა და მომავალთა მისთა. ბანსაკუთრებით ვლაღადებთ თქვენდა, გვამნო ქრისტესა მეუფისა სამსახურად შემოსილნო, ყოველად-სამღვდელონო მწყემსთ-მთავარნო, მაღალ ღირსნო არხიმანდრიტნო, პატიოსანო მღვდელო და ქრისტეს მიერ დიაკონნო, აღახვენით ბაგენი თქვენნი მოწოდებად სამწყსოთა თქვენთა შემწედ ღვთისა სათნოსა ამის საქმისა.

ხოლო ვისაც ენებოს წარმოგზავნა ჩვენდა შესაწირისა, კეთილ ინებონ მიიქტენ ისინი შემდგომთა პირთადმი: **ქუთაისს**—ყოველად-სამღვდელო ბაბრიელს ეპისკოპოზს იმერეთისა და მომრიგებელს მსაჯულს **დავით ნიკოლოზის** ძეს ბაქრაძეს; **ტფილისში**—ყოველად-სამღვდელო ეპისკოპოზს **ალექსანდრეს**, **აფხაზეთის** უფროს ბლაღოჩინს დეკანოზს **დავით** მაჭავარიანს.

მიღებისათანავე შესაწირისა სავანე ჩვენი გამოუგზავნის შემწირველთა კანონიერსა კვიტანციასა, და თვითოეული სახელი შემწირავთა შთაწერილ იქმნების მონასტრის კონდაკსა შინა საუკუნოდ მოსახსენებელად. მსურველთა შეუძლიანთ გაგზავნონ შესაწირი პირ-და-პირ ათონს შემდეგის ადრესით: **На Аѳонъ, въ русскій св. Пантелеймона монастырь настоятелю Архимандриту Макарію, для передачи въ Ново-Иверской св. Іоанна Богослова обители, старцу Венедикту или Іеромонаху Іонѣ.**

საუკუნო მოსახსენებელი დღეში სამ გზის—სამოცი მანეთი.

საუკუნო მოსახსენებელი კვირაში ერთ გზის—ოც-და-ათი მან.

საუკუნოდ მოსახსენებელი თვეში ერთ გზის—ათი მან.

წლის განმავალობაში დღიურად პანაშვიდით მოსახსენებელი—15 მან.

წლის განმავალობაში დღიურად უპანაშვიდოთ მოსახსენებელი—7 მან.

ოერმოცი წირვისათვის—სამი მან.

ოერმოცი დღის მოხსენებისათვის—ერთი მანეთი.

(3—1)

თბილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მან შემდეგი განკარგულებანი მოახდინა: 1) აღკრძალულ იქმნას შეშიანის და თივიანის ურმების დგომა ჰავლაბრის მოედანზე, და ამ ადგილის მაგიერ იმათ ეჩვენოსთ ლობნი მოედანი, რომელიც პირველ მოედანთან ახლოს იმყოფება; 2) გაიხსნას ძუკის მოედანი, რომელიც ალექსანდროვის და ანდრეევსკის ქუჩების შორის იმყოფება, და მიჰმართონ ამ მოედანს ყოველგვარი გამყიდველნი ხარჯ-გადუხდელად ვაჭრებისათვის.

(3—1)

ქინაქინის ღვინო ციებისათვის, ატკინსონის საყოველი წყალი და ხვანი იყიდება **ნამდვილს ინგლისის მაღაზიაში.**

(12—3)

ქ. გორში გაიდო

მარიამ კერესელიძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება კოპინაშვილის სახლში ოქონის ეკლესიის მახლობლათ, სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამ მაღაზიას ამ ადრესით:

Въ Гори, въ книжный магазинъ Маріи Кереселидзе.

(12—6)

შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ-მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ახლა 2 მაეთად დიდს.

(100—33)

Дозволено цензурою. Тифлисъ 4 Сентября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს.მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი